ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N5

26 დეკემბერი, 2017 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე, ნ. ვაჩეიშვილი.

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ლევან მიქავა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ირაკლი გვილავა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. ირაკლი თავართქილაძე - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
5. კობა ჭუმბურიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;
6. ირინა ჭეიშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
7. მაკა ნასრაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
8. ლევან ჯღარკავა - შპს თბილსერვის ჯგუფის დირექტორი;
9. კახაბერ გვანცელაძე -ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი;
10. დავით კერესელიძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ფინანსური აღრიცხვისა და დაგეგმარების სამსახურის უფროსი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები.

კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.)

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.**
   მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე
   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომაზე დამსწრეთ მიმართა ბატონმა ირაკლი ზარქუამ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ. მან აღნიშნა, რომ ტარდება გაერთიანებული სხდომა, რომელსაც ესწრებიან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო; განათლებისა და კულტურის; სატრანსპორტო საკითხთა; ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო; ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიები.

ბატონმა ირაკლიმ მიმართა კომისიის თავმჯდომარეებს დაედასტურებინათ კვორუმის არსებობა, რის შემდეგაც კვორუმი დაადასტურა სხდომაზე დამსწრე ყველა კომისიამ.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ გაერთიანებული სხდომის დღის წესრიგით კომისიები ერთობლივად განიხილავენ თბილისის 2017 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტს. მან ასევე, წარმოადგინა მერიის წარმომადგენლები, რომლებიც თემატურად გასცემენ დეპუტატთა ყველა კითხვას პასუხს.

სიტყვა გადაეცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს, ბატონ გაიოზ თალაკვაძეს.

მოისმინეს:

1. ბატონი გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებები განპირობებული ორი მთავარი მიზეზით: პირველი მიზეზი არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, მთავრობასთან შეთანხმებით, თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ტრანსფერის გაზრდა 14 მლნ. ლარით. მეორე მიზეზი კი არის თბილისის მუნიციპალიტეტის შემოსავლებში ზრდა.

ამასთანავე, ბატონი გაიოზის განმარტებით, ადგილი ჰქონდა სატენდერო ეკონომიებს რომელიც, შესაბამისად, გადანაწილდა სხვადასხვა საბიუჯეტო პროგრამა/ქვეპროგრამაზე.

მთლიანობაში, თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 24 307 000 ლარით, აქედან 14 მლნ. ლარი, როგორც აღინიშნა, არის ტრანსფერი. სხვა შემოსავლების მიმართულებით, აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული პროცენტები იზრდება 1 599 000 ლარით; სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებელი იზრდება 8 225 000 ლარით. ბატონმა გაიოზმა აღნიშნა, რომ ეს მუხლი უკვე რამდენჯერმე გაიზარდა, რაც გამოწვეულია ფაქტობრივი შემოსავლებით; 482 000 ლარით იზრდება სანქციები, ჯარიმები და საურავები; ბიუჯეტში მოძიებულმა რესურსმა შეადგინა 9 760 000 ლარი.

ბატონი გაიოზის თქმით, 18 230 000 ლარით იზრდება სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზებისთვის გათვალისწინებული სახსრები. 14 000 000 ლარის ოდენობის ტრანსფერი მთლიანად აღნიშნულ მუხლზე მიიმართება, ხოლო ბიუჯეტში მოძიებული რესურსის ხარჯზე ემატება 4 230 000 ლარი;

დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება იზრდება 6 300 000 ლარით, მათ შორის, გათვალისწინებულია შპს თბილსერვისის თანამშრომლებისთვის ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით საახალწლო პრემიის გაცემა, ჯამში 1 732 000 ლარი;

ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების ასიგნებები იზრდება 340 000 ლარით; 2017-18 წლის საახალწლო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფისთვის დაფინანსება იზრდება 388 000 ლარით;

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის ასიგნებები იზრდება 9 მლნ. ლარით, აქაც გათვალისწინებული თბილისის ბაგა-ბაღების თანამშრომლებისთვის საახალწლო პრემიების გაცემა.

ბატონი გაიოზ თალაკვაძის მიერ 2017 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის წარმოდგენის შემდეგ, სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ ირაკლი ნადირაძეს, რომელიც დაინტერესდა კოეფიციენტების ზრდის საკითხით. მისივე თქმით, სხდომის მონაწილეებს უკვე დაურიგა კოეფიციენტების ზრდის სტატისტიკის ამსახველი დოკუმენტი. მან ასევე, მადლობა გადაუხადა ბატონ გაიოზ თალაკვაძეს, რადგან მიაწოდა ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რომელ პირებს აქვთ დავალიანება 2014-17 წლების განმავლობაში. მისი თქმით, თბილისის მერიას გენგეგმა არ აქვს დამტკიცებული და ფაქტობრივად, მორატორიუმი ჰქონდა გამოცხადებული კოეფიციენტების გაყიდვაზე. მან განაცხადა, რომ სანამ ბატონი დავით ნარმანია თბილისის მერი გახდებოდა, 2014 წლამდე, კოეფიციენტების ზრდის ნაწილში 1 900 000 ლარი იყო ბიუჯეტში შესული, ახლა კი, ათჯერ მეტი თანხაა შემოსული. მისივე განმარტებით, კოეფიციენტების გაყიდვიდან შემოსული შემოსავალი არ არის ჯარიმა, რომელიც დაგეგმილზე მეტი შეიძლება შევიდეს ბიუჯეტში, თუ მერია არ გაყიდის K2 კოეფიციენტს, ეს თანხები არ შევა ბიუჯეტში, რაც მისი თქმით, ნიშნავს, რომ გაყიდული იყო კოეფიციენტების უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა 2017 წელს.

ბატონმა ირაკლიმ ასევე, აღნიშნა, რომ მიესალმება მეტროს ვაგონების მოდერნიზაციისთვის 14 000 000 ლარის მობილიზებას, რადგან 2018 წლის ბიუჯეტში ეს მუხლი ფაქტიურად არ იყო; მისი თქმით, მეტროში, განსაკუთრებით პიკის საათებში, ძალიან რთული მდგომარეობაა და მატარებლები ცუდი ინტერვალით დადიან, შესაბამისად, აუცილებელია არამარტო ვაგონების

მოდერნიზაცია, არამედ ახალი შემადგენლობების დამატება. მანვე მიმართა ბატონ კობა ჭუმბურიძეს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროს და აღნიშნა, რომ მეტროს ლიანდაგებთან, ესკალატორებთან დაკავშირებით დიდი პრობლემებია და ამიტომ დაინტერესდა მომავალში რა თანხების მობილიზება დასჭირდება დედაქალაქს ამ მიმართულებით.

დეპუტატი ასევე, დაინტერესდა ინფრასტრუქტურის საბიუჯეტო მუხლით (კოდი 2.1.) და აღნიშნა, რომ ტენდერებიდან იყო ეკონომია, თუმცა გარკვეული პროექტები ვერ შესრულდა და ამიტომ მცირდება მუხლის დაფინანსება. შესაბამისად, ის დაინტერესდა კონკრეტული პროექტებით, რომელთა შესრულება ვერ შეძლო მერიამ 2017 წელს.

ბატონმა ირაკლიმ ასევე აღნიშნა, რომ დასუფთავების ღონისძიებები იზრდება 6 300 000 ლარით და მისი თქმით, წარმოდგენილი განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ამ თანხის გარკვეული ნაწილი უნდა მოხმარდეს დასუფთავების თანამშრომელთა საახალწლო პრემიას, რაც ბატონი ირაკლის თქმით, ნამდვილად საჭირო და აუცილებელია და არც აპროტესტებს ამას. იგი დაინტერესდა თუ რას ხმარდება დანარჩენი თანხა.

ბატონი ირაკლი ნადირაძის შემდეგი კითხვა ეხებოდა დედაქალაქის გენგეგმას და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო დაფინანსება 1 100 000 ლარით არის შემცირებული. მისი თქმით, გენგეგმა 2017 წლის მაისში უნდა მიეღო დედაქალაქს, მაგრამ მოცემულ დრომდე მიუღებელია. არქიტექტურის სამსახურს 10 დღიანი ვადა განესაზღვრა გენგეგმაზე საკუთარი შენიშვნების და პრეტენზიების წარდგენისათვის, ამიტომ წელს მხოლოდ 440 000 ლარია დარჩენილი ბიუჯეტში. დეპუტატი დაინტერესდა თბილისის მერიის გეგმებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე იგეგმება თუ არა აღნიშნულ კომპანიასთან ხელშეკრულების შეწყვეტა.

დეპუტატი ირაკლი ნადირაძე, მიესალმა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომელთა საახალწლო პრემიების გაცემას და ამ მიმართულებით ბიუჯეტის ზრდას, თუმცა ამავე დროს, დაინტერესდა თუ სად მიემართება დანარჩენი თანხა.

ბატონი ირაკლის განმარტებით, გაზრდილია ჯარიმების ნაწილი და დაინტერესდა აღნიშნული შპს სიტი პარკიდან მიღებული დამატებითი ჯარიმებია, თუ სხვა რამ იგულისხმება ჯარიმების ზრდაში.

ბატონი ირაკლი ზარქუას თქმით, K2-ის კოეფიციენტთან დაკავშირებით, მას შეუძლია სხდომის მონაწილეებს მიაწოდოს წერილობითი დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ K2-ის გადასახადი წლების განმავლობაშია დაგროვილი და რომ აღნიშნული 19 000 000 ლარი მხოლოდ 2017 წელს გაცემული K2-ის კოეფიციენტის შემოსავალი არ არის. მისი განმარტებით, მმართველი პოლიტიკური გუნდის პირობებში შესაძლებელი გახდა ბიზნესისთვის დროში გაწერილი ნებართვების გაცემა, შესაბამისად, მიმდინარე პერიოდში აქვს ადგილი თანხების მობილიზებას.

საკითხზე განმარტება გააკეთა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ და დაადასტურა ბატონი ირაკლი ზარქუას მიერ გაჟღერებული ინფორმაციის სისწორე. მან დამატებით აღნიშნა, რომ შემოსულობები განპირობებულია არა მარტო 2014-17 წლების ნებართვებით, არამედ 2005-2006

წელს გაცემული ნებართვებითაც. ბატონი გაიოზის თქმით, აღნიშნული შემოსავალი რომელიმე მორატორიუმის დარღვევის შედეგად არ იქნა მიღებული.

საკრებულოს წევრმა ბატონმა დავით უთმელიძემ განმარტა, რომ ბატონი ირაკლი ნადირაძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავს 2010, 2011, 2012, 2013 წლის გეგმასა და ფაქტიურ შესრულებას. ფაქტობრივად 2010-12 წლებში ვერ სრულდებოდა გეგმა, მშენებლობა დაიწყო 2013 წლიდან. როცა გაიცემა ნებართვა მშენებლობაზე, კომპანიას მაშინ უჩნდება მხოლოდ ვალდებულება გადასახადის გადახდაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ბატონი ირაკლი ნადირაძის მიერ საკრებულოს წევრებისთვის წარდგენილ მეორე დოკუმენტს სათაურად აწერია ,,სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემისათვის გადახდილი მოსაკრებელი." ბატონი დავითის თქმით, ესეც იგივე დოკუმენტია, რომელიც მიუთითებს, თუ როდის მოხდა გადახდა და არა ზონალური შეთანხმების გაცემა.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ მადლობა გადაუხადა ბატონ დავით უთმელიძეს და აღნიშნა, რომ მან ზუსტად ეს მონაცემები დააზუსტა. მანვე შპს თბილსერვის ჯგუფის თანამშრომლების პრემიაზე დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გასულ წლებში გაცილებით მეტი თანხები იხარჯებოდა პრემიებზე, ვიდრე ეხლა. მანვე მიმართა ბატონ ლევან ჯღარკავას, შპს თბილსერვის ჯგუფის დირექტორს და ჰკითხა იღებდა თუ არა, იგი პრემიას. რაზეც, ბატონმა ლევანმა უპასუხა, რომ იგი პრემიას არ იღებს.

ბატონმა ლევან ჯღარკავამ განმარტა, რომ 2017 წელს თბილისის დაგვა-დასუფთავების ღონისძიებებისთვის დაფინანსება შეადგენდა 51 მლნ. ლარს. წლის ფინანსურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ეს დანახარჯები გაიზარდა. ამის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო საწვავის ფასის ზრდა, რომელიც 1.5 ლარს აღემატება. ასევე, საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე განთავსებული სპეციალური ტექნიკა მწყობრიდან გამოვიდა, რაც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებული ბიუჯეტით. შპს თბილსერვის ჯგუფი დამატებით თანხას ითხოვს აღნიშნული ტექნიკის გარემონტებისთვის. დანარჩენი თანხები მიემართება დავალიანებების დაფარვისათვის, რაც აღემატება ბიუჯეტით გამოყოფილ 51 მილიონ ლარს.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ, ბაღების დაფინანსების ზრდასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ გამოყოფილი 9 მილიონი ლარიდან 3 მილიონი ლარი თანამშრომლების საახალწლო პრემიისთვის განკუთვნილი თანხაა, დანარჩენ ზრდასთან დაკავშირებით კი, უფრო დეტალურად ისაუბრებს ბატონი ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის წარმომადგენელი დავით კერესელიძე.

ბატონმა დავით კერესელძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილებებით გათვალისწინებული თანხები, ძირითადად, ხმარდება ბაღების მიმდინარე ხარჯებს. მისივე თქმით, როგორც ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, იგი ხმარდება ბაღის თანამშრომლების საახალწლო პრემიებს, ასევე, აღსაზრდელებისთვის საახალწლოდ განკუთვნილი საჩუქრების შეძენას. ეს დეფიციტი გამოწვეულია იმით, რომ 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას, თბილისში ბაღების რაოდენობა 166 იყო და ემსახურებოდა 60 000 აღსაზრდელს, მაგრამ დაემატა ახალი ბაგა-ბაღები და მოცემული დროისთვის ფუნქციონირებს 171 საბავშვო ბაგა-ბაღი და მომსახურება მიეწოდება 61 000 მეტ ბავშვს. აქედან გამომდინარე, ბაღების სააგენტოს ბიუჯეტში დეფიციტია და მოთხოვნილი თანხა საჭიროა მიმდინარე ხარჯების შესავსებად.

დეპუტატმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ K2 კოეფიციენტთან დაკავშირებით, მაინც დიდი გაურკვევლობაა. მისი განმარტებით, ბატონი ირაკლი ზარქუას მიერ წარმოდგენილ კვალიფიციურ დოკუმენტში გაცემის თარიღებია მითითებული, რომელიც ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს, რომ K2-ის გაყიდვის დინამიკა 2012 წლის შემდეგ ძალიან მზარდია, ამ ციფრს ეთანხმება შემოსავლების გრაფიკიც. ამიტომ, განცხადება იმის შესახებ, რომ კოეფიციენტი გაიყიდა 2012 წლამდე, ხოლო შემოსავლები 2012 წლის შემდეგ მივიღეთ, გაურკვევლობას იწვევს. ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ იურიდიულადაც, კოეფიციენტის გაყიდვის მორატორიუმი არ არის გამართული და ის გვერდის ავლის ბევრ საშუალებას შეიცავს. ბატონი ნიკოლოზის თქმით, ეს განაპირობებს იმას, რომ დღეს მთაწმინდაზე შენდება შეუსაბამო ნაგებობა, 2015 წელს გაცემული კოეფიციენტის საფუძველზე. მისივე განმარტებით, აღნიშნული საკითხი ძლიერ კონტროლს მოითხოვს, რადგან წარმოადგენს ქალაქის განვითარების ხერხემალს.

ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ ბატონ ნიკოლოზ ვაჩეიშვილს განუმარტა, რომ წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით, საუბარი არ ყოფილი 2012 წლამდე პერიოდზე. 2014 წელს უკვე უზარმაზარი ზრდაა, წინა წლებთან შედარებით. გარდა ამისა, მორატორიუმი გამოცხადებულია კონკრეტულ უბნებზე, სხვა უბნებზე იგი არ ვრცელდება და იქ K2-ის მატება დაშვებულია.

ბატონმა გაიოზმა აღნიშნა, რომ თუ მორატორიუმის დარღვევაზე იქნება აპელირება, საჭიროა, მიემართოს თბილისის არქიტექტურის სამსახურს კონკრეტულ შემთხვევაზე. შესაბამისად, სამსახური გასცემს პასუხს, თუ რა მიზეზით დაირღვა მორატორიუმი ან უარყოფს მისი დარღვევის ფაქტს.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ ასევე აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში ეს მშენებლობები გაჩერებული იყო, რაც იწვევდა ანტისანიტარიას და სხვა პრობლემებს. თბილისის ხელმძღვანელობამ ბიზნესს მისცა შესაძლებლობა, მშენებლობების დაწყებაზე ესარგებლა შეღავათიანი რეჟიმით, დროში გაწერილი გრაფიკის განსაზღვრის შედეგად. ეს ნიშნავს, რომ ისინი დაასრულებენ დაწყებულ მშენებლობებს, თანამოქალაქეებს უახლოეს პერიოდში ახალი სახლები ექნებათ. მისი თქმით, 2018 წლისთვის 10 000 000 ლარია განსაზღვრული K2-ის კოეფიციენტზე, მაგრამ ესეც გრაფიკის მიხედვით ხდება და არ გულისხმობს, რომ მხოლოდ 2018 წელს გაცემული K2-ის კოეფიციენტიდან იქნეს მობილიზებული.

საკითხთან დაკავშირებით დამატებით ისაუბრა ბატონმა ირაკლი ნადირაძემ და აღნიშნა, რომ 2013 წელს თბილისის მერიის ბიუჯეტში K2-ის გაცემიდან მიღებული შემოსავალი მომდინარეობდა 2011, 2012 წლებში გაცემულ კოეფიციენტზე - 2015 წელს შემოდიოდა 2014, 2015 წლებში გაცემული კოეფიციენტების შემოსავალი და ფაქტიური შემოსავალი 10-ჯერ ნაკლები იყო ვიდრე მოცემული დროისთის.

დეპუტატი ირაკლი ნადირაძის შემდეგი კითხვა ეხებოდა ინფრასტრუქტურის საბიუჯეტო მუხლის (2.1.) 4 300 000 ლარით შემცირების საკითხით. იგი დაინტერესდა ეკონომიების გარდა, რომელი კონკრეტული პროექტები არ შესრულდა ან გადავიდა 2018 წელს.

აღნიშნულ შეკითხვას უპასუხა ქალბატონმა ირინა ჭეიშვილმა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა. მისი განმარტებით, საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის პროგრამიდან ერთი

პროექტია მხოლოდ, რომელიც ვერ განხორციელდა, ეს არის თბილისში ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე შემგროვებლის მოწყობის სამუშაოები. აღმოჩნდა, რომ სამსახურმა შეისყიდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება, რომელიც ბუნებრივია ექსპერტიზაზეც იყო და სამშენებლო სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერის შემდეგ კონტრაქტი დაიდო ერთ-ერთ კომპანიასთან, სამუშაოები დაიწყო და მიწისქვეშა კომუნიკაციების მდგომარეობა იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ 8 მეტრის სიღრმეზე ჩატარებული კვლევები საკმარისი არ აღმოჩნდა. წარმოდგენილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომ თუ დამატებითი კვლევები არ ჩატარდება, ახლანდელი პროექტის მიხედვით სამუშაოების განხორციელება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულება ორმხრივად შეწყდა. რაც შეეხება დანარჩენ თანხას, ქალბატონი ირინას განმარტებით, აღნიშნული სატენდერო ეკონომიებია.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ დაინტერესდა გამრავალწლიანდა თუ არა აღნიშნული პროექტი, რაზეც ქალბატონმა ირინამ განმარტა, რომ ეს პროექტი შეწყდა. მისი თქმით, გამრავალწლიანდა მხოლოდ ერთადერთი პროექტი - ნავთლუხის ხევის კოლექტორის აღდგენა, რომელზეც მუშაობს ორი კომპანია: ,,მადლი'' და ,,ერკერი''. პარალელურ რეჟიმში მუშაობს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი'', შესაბამისად, სინქრონული მუშაობის გამო, გადაიწია კონტრაქტორებისთვის შესრულების ვადა.

საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონი რიმა ბერაძის თქმით, მცირდება კოდი 05.01, რომელიც ასევე, მოიცავს ბინათმშენებლობასა და ავარიული შენობების გამაგრებას. მისი თქმით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ავარიული სახლების გამაგრება შემცირებულია მხოლოდ და მხოლოდ წარმოქმნილი ეკონომიების ხარჯზე და არ უნდა იქნას გაგებული, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო აქ არსებული თანხების ათვისება, არამედ, მისი განმარტებით, შემცირება გამოწვეულია ეკონომიებით.

საკრებულოს წევრი ბატონი ლევან ხაბეიშვილი დაინტერესდა, რატომ იზრდება თბილისის მერიის სარეზერვო ფონდი 150 000 ლარით და რა მდგომარეობაა მეტროს ვაგონების შემადგენლობასთან და რელსების შეკეთებასთან დაკავშირებით. მანვე აღნიშნა, რომ კომპანია ვაგონმშენებელი ქარხანა, რომელიც მეტროს ვაგონების მოდერნიზებას ახორციელებს, ერთი წლის განმავლობაში გაჩერებული იყო, შესაბამისად, ის დაინტერესდა თუ ვინ იყო პასუხისმგებელი აღნიშნულ ფაქტზე, ვინაიდან, მისი თქმით, დედაქალაქმა მიიღო რთული შედეგები აღნიშნული ქარხნის გაჩერებით. მისივე განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან მაშინ ბევრი იბრძოლა, რომ დედაქალაქის მთავრობას დაენახა ამ კომპანიის და მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მნიშვნელობა, რომლებიც გადამზადებულები არიან და იშვიათ კვალიფიკაციას ფლობენ.

მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის, ბატონი კობა ჭუმბურიძის თქმით, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯზე დაგეგმილია 14 ვაგონის შეკეთება და ორი ახალი მოძრავი შემადგენლობის შეძენა. მანვე აღნიშნა, რომ 2016 და 2017 წლებში ჯამში 43 ერთეული ვაგონი შეკეთდა და მგზავრობის 4 წუთიანი ინტერვალი უკვე 3.5 წუთამდეა შემცირებული, მომავალი წლის გაზაფხულზე კი, ინტერვალი 3 წუთამდე შემცირდება. წლის ბოლოს, ახალი ვაგონების შეძენის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ინტერვალის 2.5 წუთამდე შემცირდება.

შესაბამისად, მომსახურება ბევრად გაუმჯობესდება. ესკალატორებსა და ლიანდაგებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი პერიოდულად იცვლება. წელს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის, 4 800 000 ლარის, ნაწილი აღნიშნულ სამუშაოებს მოხმარდება, მომავალი წლისთვის კი, ამ სამუშაოებისთვის 4 000 000 ლარი იქნება გათვალისწინებული.

ბატონმა ლევან ხაბეიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ ვაგონმშენებელი ქარხანა ერთი წლის განმავლობაში ფაქტობრივად გააჩერეს, ამიტომ, იგი თვლის, რომ ამ საკითხზე მნიშვნელოვანია პასუხის მოსმენა.

დასმულ კითხვას უპასუხა ,,ვაგონმშენებელი ქარხნის'' წარმომადგენელმა. მან განმარტა, რომ 2013 წლიდან არის კომპანიის ფინანსური მენეჯერი. მან აღნიშნა, რომ როგორც კი ბატონმა გიორგი უგულავამ დატოვა თბილისის მერის თანამდებობა და არჩეულ იქნა ბატონი დავით ნარმანია, თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ გამოაცხადა დაახლოებით 20-25 მილიონი ლარის ღირებულების ტენდერი, რომელშიც ვაგონმშენებელმა ქარხანამ გაიმარჯვა. აღნიშნულის შემდეგ, მრავალი მსხვილი ინვესტიცია განხორციელდა კომპანიაში.

ბატონმა ლევან ხაბეიშვილმა დამატებით იკითხა სარეზერვო ფონდის ზრდასთან დაკავშირებით.

ბატონი გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, გენგეგმასთან დაკავშირებული ვითარება ყველასთვის ცნობილია და ხორციელდება მხოლოდ ამის ასახვა ბიუჯეტში. უახლოეს დღეებში გაირკვევა თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

ბატონი გაიოზის თქმით, მერის სარეზერვო ფონდი შესაძლებელია დედაქალაქის ბიუჯეტის 2%-ის ოდენობის იყოს, თუმცა, მოცემული მომენტისთვის სარეზერვო ფონდის ოდენობა მთლიანი ბიუჯეტის 1%-იც კი არ არის. შარშანდელი გამოცდილებიდან გამომდინარე, სარეზერვო ფონდს ემატება მცირედი თანხა, თუ იგი არ დაიხარჯება და დარჩება, აღნიშნული პრობლემას არ წარმოადგენს.

საკრებულოს წევრი, ბატონი დავით ჟღენტი დაინტერესდა წარმოდგენილი ცვლილების იმ პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა საცხოვრებლების უზრუნველყოფას, მაშინ როცა აღნიშნული მოვლენიდან გარკვეული პერიოდია უკვე გასული. მისი თქმით, თუ თანხის დამატება გამოიწვია სასამართლოს მიერ გამოტანილმა გადაწყვეტილებამ, მაშინ დედაქალაქის ხელისუფლებამ უნდა იფიქროს ქალბატონი აზა ჯავოევას კომპენსირების საკითხზეც, რომელსაც არ ჰქონდა სამართლებრივი დავა, მაგრამ არ არის კომპენსაციით უზრუნველყოფილი. ბატონმა დავითმა განმარტა, რომ ქალბატონი აზას საცხოვრებლის ქირას მოცემულ დრომდე გამგეობა ანაზღაურებს და მისასალმებელი იქნება თუ მოხდება მისი კომპენსაციით უზრუნველყოფა.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ განმარტა, რომ მისი ინფორმაციით, თბილისის ბიუჯეტის შესაბამის ასიგნებებში დარჩენილი იყო 7 800 ლარი, სასამართლო დავებიდან გამომდინარე, დროში გადაიდო თანხის გაცემა ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილება აღნიშნული მიმართულებით ემსახურება სწორედ აღნიშნული თანხების დაფინანსებას დროულად. ბატონმა ირაკლიმ, ასევე შესთავაზა ბატონ დავითს, ერთობლივად დამატებით გაერკვიათ ქალბატონი აზას პრობლემა.

საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჩკვეტაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილების წარმოდგენილი პროექტით არსებითი ცვლილებები არ ხორციელდება. იგი გამოწვეულია სატენდერო ეკონომიებით, ყველა დაწყებული პროექტი კი ისევ გრძელდება.

სხდომაზე დამსწრე კომისიებმა კენჭი უყარეს "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ირაკლი ზარქუამ, გაიოზ თალაკვაძემ, ირაკლი ნადირაძემ, კობა ჭუმბურიძემ, ირინა ჭეიშვილმა, ლევან ჯღარკავამ, დავით კერესელიძემ, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, დავით უთმელიძემ, რიმა ბერაძემ, ლევან ხაბეიშვილმა, დავით ჟღენტმა, გიორგი ჩაკვეტაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	7
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონი კახა კალაძის მიერ წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (№12- 031735686-03; 22.12.2017) განხილვისა და მსჯელობის შედეგად, გადაწყვიტა, რომ კომისიას არ აქვს არსებითი შენიშვნები და რეკომენდაციები აღნიშნული დადგენილების პროექტის მიმართ, დადებითად აფასებს მას და მხარს უჭერს მის გადაცემას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარემ დამატებით წარმოადგინა თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში და სახლებში, ასევე, ხელოვნების სკოლებში უფასო სწავლების შესაბამის დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია. მისი თქმით, წარმოდგენილი ცვლილება არის ტექნიკური ხასიათის და გულისხმობს მონიტორინგის წესში ცვლილებას. კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, წარმოდგენილი ტექნიკური ხასიათის ცვლილება გულისხმობს აღნიშნულ ობიექტთა დირექტორების მხრიდან თბილისის მერიასთან კომუნიკაციის ცვლილებას. მისი თქმით, საკითხზე მოხსენებას გააკეთებს თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, იმის მიუხედავად, რომ ხსენებულ დაწესებულებებში სწავლის დაფინანსება ხორციელდება ბიუჯეტის იმ მუხლიდან, რომელიც ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებს არეგულირებს, მან მაინც მიმართა რეკომენდაციით მერიის ჯანდაცვისა და სოც. მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს, რათა მოხდეს კოორდინირება თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ასევე, კულტურის საქალაქო სამსახურებთან და ამგვარად წარედგინოს საკითხები თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

სიტყვა გადაეცა თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოც. მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს. მისი განმარტებით, საკითხი ეხება ჯანდაცვის და სოც. მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ ადმინისტრირებულ პროგრამას ხელოვნების სკოლებსა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესა და სახლებთან ურთიერთობას. წესის მოცემულ დრომდე მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული იყო მათ მიერ წარმოდგენილი სამუშაოს წარმოდგენისას მიღება-ჩაბერის აქტის ორჯერ გაფორმება. პირველ ჯერზე, წერილობით მომართვისას, როდესაც კანცელარიაში ტოვებდნენ მიღება-ჩაბარების რეესტრს და შესრულებული სამუშაოს დოკუმენტს და მეორედ, მას შემდეგ, რაც პროგრამის განმახორციელებელი მერიის შესაბამისი სამსახური განახორციელებდა სამუშაოს ინსპექტირებას.

საქალაქო სამსახურის წარმომადგენელის თქმით, თბილისის ხელოვნების სკოლები და ასევე, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე და სახლები, აღნიშნავდნენ, რომ აღნიშნული პროცედურის განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ წერილის დატოვებით და აღარ იყო საჭირო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, რაც გულისხმობს პასუხისმგებელ პირთან კომუნიკაციას, ხელმოწერას, ბეჭდით დადასტურებას და ამის შემდეგ დოკუმენტის კანცელარიაში ჩატანას. მათი თქმით, აღნიშნულ პროცედურას დიდი დრო მიჰქონდა, როგორც დაწესებულებების, ასევე თბილისის მერიის შესაბამისი კურატორის მხრიდანაც. შესაბამისად, თბილისის მერია დაეთანხმა ამ მოსაზრებას და გაამარტივა პროცედურა. პირველადი მიღება-ჩაბარების დოკუმენტი აღარ გაფორმდება, დაწესებულებების წარმომადგენლები კანცელარიაში დატოვებენ ოფიციალურ წერილს, მომდევნო პროცედურები კი უცვლელად განხორციელდება. მისი თქმით, ახალი პროცედურა დროის ეფექტიან ხარჯვას უზრუნველყოფს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა, კითხვით მიმართა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს. იგი დაინტერესდა მხოლოდ ფაქტობრივი დანახარჯის დოკუმენტაციას ჩაიბარებდა თუ არა მერიის ჯანდაცვისა და სოც. მომსახურების სამსახური ცვლილების შემდეგ. მისი განმარტებით, თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური ახორციელებს 33 სახელოვნებო სკოლის სუბსიდიას და სამსახური განხორციელებულ სამუშაოებს იბარებს ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ დოკუმენტაციით.

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის სააგენტოს წარმომადგენელმა განუმარტა ქალბატონ მაკას, რომ სამსახური იგივე დოკუმენტაციას ჩაიბარებს, თუმცა ამჯერად მხოლოდ ოფიციალური წერილის სახით მიიღებს კანცელარიაში, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი,

როგორც ფორმალური დოკუმენტი, მხოლოდ ერთხელ გაფორმდება, სხვა დოკუმენტაცია კი ძველი წესით იქნება წარმოდგენილი.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებს შორის კომუნიკაცია უმჯობესია, მერიაშივე შედგეს, ვიდრე თბილისის საკრებულოს კომისიის სხდომაზე. მისივე საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია მხოლოდ ინფორმაციის სახით ისმენს მას და არ განიხილავს კომისიურად.

კითხვა დასვა ბატონმა ირაკლი ნადირაძემ, რომლის განმარტებით, მიესალმება ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას დაწყებული პროგრამის გაგრძელებას, ვინაიდან მისით ბევრი ბენეფიციარი ბავშვი სარგებლობს. დეპუტატის თქმით, პროგრამა ვრცელდება იმ ბავშვებზე, რომელთა ოჯახებს სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მინიჭებული აქვთ 70 000 ქულაზე ნაკლები და დაინტერესდა, მომავალში ხომ არ იგეგმება 70 000-დან 200 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებსაც მიეცეთ საშუალება აღნიშნული სერვისის უფასოდ სარგებლობის.

მერიის წარმომადგენლის განმარტებით, მერიის ჯანდაცვისა და სოც. მომსახურების საქალაქო სამსახურის მიდგომაა, რომ სამსახურის მიერ განხორციელებული ნებისმიერი პროგრამის პრიორიტეტი სოციალურად დაუცველი ოჯახები იყვნენ, თუმცა გასათვალისწინებელია რესურსების შეზღუდულობის ფაქტორიც.

კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშილმა კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს მადლობა გადაუხადა განხილვებში აქტიური ჩართულობისა და მოსაზრებების გაზიარებისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი